N487 2015 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი

„თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის №252 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის №252 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/06/2015, 340170000.10.003.018637) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ სახელმწიფო პროგრამის:

1. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) 2017 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყოს არანაკლებ 500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

კოოპერატივის ან/და მისი წევრის საკუთრებად კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაცია.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**